2021-2022 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შესრულების მონიტორინგი/ანგარიში

ქ. თბილისი 30 ივლისი, 2022 წელი

კოლეჯის მიერ 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების გარკვეული ნაწილის შესრულებისა და მიმდინარეობის შესახებ ანგარიში გაკეთდა სასწავლო წლის პირველ ნაწილში, იანვრის თვეში. აღნიშნული გახლავთ მეორე, საბოლოოდ, გეგმით განსაზღვრული აქტივობების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისა თუ ვერშესრულების შესახებ მონიტორინგის შედეგად წარმოდგენილი ანგარიში.

2021-22 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავდა სხვადასხვა აქტივობებს, რომელთაგან ნაწილი სრულად შესრულდა, ხოლო ზოგიერთი მადგანი გადავიდა მომდევნო წლისათვის შესრულების მიზნით. მდგომარეობა შემდეგია:

ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მხრივ დაგეგმილ ამოცანასა და აქტივობების ფარგლებში, გამოკითხულია კურსდამთავრებულები, რომლებიც 2021-22 სასწავლო წლის ფარგლებში იყვნენ ფარმაცია (სააფთიაქო) სპეციალობის სტუდენტები, გამოკითხულთა უმეტესობა დასაქმებულია პროფესიით და შედეგი საკმაოდ დადებითია. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტთა გამოკითხვას, მოხდა მათი იდენტიფიცირება დაწესებულების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების/ხელშეკრულების ფარგლებში. ჩატარებული გამოკითხვის შედეგები დადებითია და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები, პოტენციური დამსაქმებლები კმაყოფილებას გამოთქვამენ. მათგანვე და ზოგადად სხვადასხვა გამოკითხვის ფარგლებში, კოლეჯში დაინტერესებულ პირთა მომართვიანობისა და დამსაქმებელთა მიერ მოთხოვნილი კადრების მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთ მოთხოვნად პროფესიად კვლავ რჩება საექთნო განათლებისა და ასევე ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, იმ მიმართულებით რა ძირითადი პროფილითაც საქმიანობას ახორციელებს დღეისათვის დაწესებულება.

კოლეჯი ყოველთვის ცდილობს ხელი შეუწყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განახლებასა და განვითარებას. ამ მხრივ, სასწავლო წლის დასაწყისში კითხვარების განახლებისა და პროგრამების ადაპტირების შესახებ პირველ ანგარიშში უკვე დაფიქსირდა შედეგი. დაწესებულების მიერ დაორგანიზდა აგრეთვე

დამსაქმებლებთან კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების შეხვედრა, რომლის ამსახველი ფოტო მასალა განთავსებულია სოციალურ ქსელებში, ვებ-გვერდზე.

დაგეგმილი აქტივობისა და ამოცანების ფარგლებში კოლეჯის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა შიდა ვერიფიკაციის პროცესი. ჯამში მოხდა 20 მოდულის ინსტრუმენტთა სრული სახით შემოწმება ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის დასკვნის ფარგლებში გაცემულ იქნა რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შესახებ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ანგარიში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვერიფიკაციის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმატებითაა შესრულებული დაგეგმილი აქტივობა.

სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო ამოცანა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის განვითარება, რომელიც მოიცავდა რამოდენიმე აქტივობას. შედეგების მიხედვით, რა რესურსიც ამ ეტაპზე დაწესებულებას გააჩნია, უმჯობესია უკვე არსებული პროგრამის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, მათი ჩარიცხვისა და ადგილების შევსების მიხედვით მსჯელობის შედეგად. კოლეჯს 2022-23 სასწავლო წლისათვის უწევს რეავტორიზაცია, აქედან გამომდინარე, ამ ამოცანის ფარგლებში გაწერილი აქტივობები, როგორიცაა ქვოტის გაზრდა, პროგრამების დამატება, აღნიშნულს დაწესებულება განახორციელებს მომავალი სასწავლო წლისათვის.

ვინაიდან კოლეჯი ემზადება მომავალი სასწავლო წლისათვის რეავტორიზაციის ფარგლებში, ხელმძღვანელობის მიერ მოხდა გადაწყვეტა დუალური საგანმანათლებლო პროგრამების ამ ეტაპზე არ დამატების შესახებ, ვინაიდან, წინარე პანდემიურმა მდგომარეობამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა დაწესებულების რესურსებზე და ამ ეტაპზე დირექცია ცდილობს არსებული პროგრამების ფარგლებში მათ დახვეწასა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას, ვიდრე ახალი პროგრამების დამატებას.

წინა წლებისაგან მიღებული გამოცდილების ხარჯზე უფრო და უფრო დაიხვეწა დისტანციური სწავლების მეთოდები. ორგანიზებულად ხდებოდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ონლაინ ლექციების წარმართვა, აღნიშნულის თაობაზე დაფიქსირებულია პირველი ნახევრის ანგარიშში. რაც შეეხება მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წევრთა შეხვედრებს გამოცდილების გაზიარების მხრივ, უმჯობესია აქ უფრო მრავალჯერადი და ოფიციალური ხასიათი მიიღოს შეხვედრებმა. უმეტესწილად, გამოცდილებების გაზიარება ხდებოდა messenger-ის საშუალებით პირად შეტყობინებებში ერთმანეთის მიმართ.

ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად წარმოსადგენია ანგარიში თუ კიდევ უფრო როგორ შეიძლება დაიხვეწოს არსებული მექანიზმები, რა ხერხებით მოხდეს კადრების მოძიება და მათი დაინტერესება შემდგომ მოზიდვის

მიზნით. მდგრადობის მხრივ აყვანილია ახალი კადრები და მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით განახლებულია აგრეთვე პირადი საქმეები.

არსებული კითხვარების ფარგლებში, რომელთა მიხედვით ხდება სხვადასხვა საჭიროებების გამოვლენა, პროფესიული განვითარების საჭიროებების კუთხით მუდმივად მუშაობაა ჩასატარებელი, თანამშრომლებს მიეწოდებობათ ინფორმაცია არსებული ტრენინგების შესახებ და დაწესებულების მხრიდანაც მოხდა ადმინისტრაციის წევრთა და მასწავლებელთა ჩართვის უზრუნველყოფა სხვადასხვა გარე ტრენინგში, თუმცა შიდა კუთხით აღნიშნული აქტივობები დასახვეწია და საჭიროა უფრო მრავალფეროვანი სახე მიიღოს ტრენინგების რაოდენობამ. გამოკითხვის შედეგებიც ცხადყოფს, რომ პროფესიულ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს მუდმივ რეჟიმში ესაჭიროება სიახლეებთან მორგების მიზნით მეტად განვითარება.

დაწესებულებაში განსავითარებელია პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების სისტემა, ხოლო გამოკითხვის მიმართულებით მასწავლებელთა უმეტესობა გამოკითხულია და მიღებული შედეგები დადებითია. შესასრულებელი დარჩა აქტივობა შიდა ტრენინგების ორგანიზებისა და განხორციელების მხრივ.

ახალი ფართის მოძიება ვერ მოხერხდა მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის გამო, რასაც თავის ანგარიშში აღნიშნავს აგრეთვე დირექტორის მოადგილე.

დაწესებულების ვებ-გვერდი განახლებულია. სტუდენტებს, პერსონალსა და სხვა დაინტერესებულ პირებს სოციალური მედიის საშუალებით მუდმივად მიეწოდებათ სიახლეები. აღნიშნული აქტოვობა აგრეთვე შესრულებული იყო გარკვეული კუთხით პირველი ნაწილის ანგარიშის წარმოდგენისას.

გამოკითხვის შედეგები აგრეთვე აჩვენებს, რომ დასახვეწია და განსავითარებელია დაწესებულებაში მოსასვენებელი და დამოუკიდებლად სამუშაო სივრცეები. სტუდენტებს მუდმივად ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, ინტერნეტ ქსელთან დაკავშირებული კომპიუტერები, საჭირო მასალის დასაბეჭდად შესაბამისი მოწყობილობები. ამ მიმართულებით საჭიროებების მხრივ სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა ვერ ხორციელდებოდა, ვინაიდან თითქმის მთელი სასწავლო წლის მანძილზე შეზღუდული იყო პირისპირ კონტაქტი ერთმანეთთან, რათა თავიდან აგვეცილებინა კოვიდ 19-ის შიდა მასშტაბური გავრცელება და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების გამო ხელი არ შეშლოდა სასწავლო პროცესს, ვირუსის შესაძლო გავრცელების გამო.

სტუდენტები გაწევრიანებული არიან სხვადასხვა ჯგუფებსა და კოლეჯის დახურულ გვერდებში, რომელთა საშუალებითაც ხდება საჭირო ინფორმაციის გაცვლა. IT

მენეჯერის მიერ მოხდა მათთვის სოციალური ქსელებისა და საიტის გაცნობა, რის შესახებაც წინა ანგარიშში უკვე აღნიშნულია.

პროფესიულ სტუდენტებს მუდმივ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია კოლეჯისა და მასთან დაკავშირებული დაწესებულებების მიერ დაგაგმილი/განსახორციელებელი სერვისების შესახებ. სოციალური ქსელების დახმარებით ეგზავნებათ ინფორმაცია დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, არსებულ ვაკანსიებზე და პოტენციური დამსაქმებლების მიერ კადრების გაგზავნის სურვილისას. სტუდენტთა ძირითად ინტერესებს ამ მხრივ წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობა დაწესებულების მხრიდან და სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა, ეს უკანასკნელი განსავითარებელია კვლავაც, აგრეთვე დასახვეწია სტუდენტთა წახალისების ღონისძიებები და დასაგეგმია აქტივობები ამ მიმართულებით.

დაწესებულება ჩართული იყო კერძო კოლეჯების ასოციაციის ფარგლებში ორგანიზებულ ფორუმში, რომლის დახმარებითაც კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა პირისპირ რეჟიმში შეხვედროდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. მოხდა მათ შორის აზრთა და პირობების გაცვლა, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს დამსაქმებლებთა მიერ კვალიფიციური კადრების აყვანას, რომლებიც შეხვედრის ფარგლებში წარადგინეს კოლეჯებმა. აღნიშნული ღონისძიება იყო ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისა და კარიერული წინსვლის კუთხით. შესაბამისი ფოტო მასალა ატვირთულია დაწესებულების ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში.

არ შესრულებულა დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობა, რომელიც სხვა გარე ღონისძიებების (ექსკურსია და სხვა) დაგეგმვას/განხორციელებას ეხება, ძირითად მიზეზს ამ ეტაპზეც არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო შეზღუდვები წარმოადგენდა. ამავე მიზეზით ვერ განხორციელდა აგრეთვე გასვლითი შეხვედრები დამამთავლებელი კლასის მოსწავლეებთან.

საჭირო მატერიალური და ონლაინ რესურსებით შეივსო საბიბლიოთეკო ფონდი, რასთან დაკავშირებითაც შესაბამისი მტკიცებულებები ინახება ბუღალტერიაში. ბიბლიოთეკარის წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით მოხდა რამოდენიმე წიგნის დამატებით შესყიდვა, განახლებულ საიტზე დაემატა წიგნები ელექტრონულ ბიბლიოთეკაშიც.

დაწესებულების მიერ გამოცხადებულია ახალი სასწავლო წლისათვის მიღება არსებული პროგრამების ფარგლებში. ადმინისტრაციის წევრთა მიერ მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა სოციალური მედიის დახმარებით დაინტერესებულ პირთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. მიღების ფარგლებში ხდება პოტენციურ სტუდენტთა მიმართ კონსულტაციების გაწევა, დახმარება მათთვის რეგისტრაციის

პროცესში. დაწესებულების ვებ-გვერდსა და www.facebook.com-ზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია.

საერთაშორისო პარტნიორობის მხრივ დაგეგმილი აქტივობები არ შესრულებულა, როგორც ამას აღნიშნავს შესაბამის ანგარიშში დირექტორის მოადგილე, აღნიშნული გადავა მომდევნო წლის გეგმაში და ვიმედოვნებთ წარმატებით განხორციელდება. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით თანამშრომლობის გაფართოებას, საერთო მიზნების მქონე დაწესებულებებთან ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმებით გაღრმავებულია და გაფართოებულია შესაბამის პირთა წრე.

საბოლოო ჯამში, 2021-22 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების უმეტესი ნაწილი შესრულებულია, ნაწილი დასახვეწია, ხოლო ზოგიერთი მიმართულებით სამუშაო მეტია, რათა სამომავლოდ დაწესებულების საქმიანობის ხარისხი უფრო მაღალ დონეზე ავიდეს. აქტიური სამუშაოებია გასატარებელი როგორც სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვის, აგრეთვე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხრივ მათ მიერ ტრენინგებში მონაწილეობით, რათა მეტად ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია და მოერგოს თანამედროვე გამოწვევებს. წარმოდგენილი ანგარიშითა და 2021-22 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების (შედეგების) ანგარიშით, სადაც მითითებულია თითოეულ აქტივობაზე შესრულების სტატუსი, მიღებული შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის გაწერისას.